

აჭარის უმაღლესი საბჭოს და მმართველობის საბჭოს თემატური მოკვლევა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოების და მმართველობის შეფასება

თემატური მოკვლევის მიზანი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელ ორგანოებში და მმართველობის კუთხით არსებული ვითარების შეფასება

კითხვარი დაინტერესებული პირების მიერ საკუთარი პოზიციების წარმოსადგენად

ორგანიზაციის სამართლებრივი ფორმა, დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი.
შემსრულებლის სახელი, გვარი და პოზიცია	ირაკლი ბერიძე - სოციალური მედიისა და ონლაინ პროექტების სამსახური ირაკლი ხაჯიშვილი - ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი
მისამართი	ქ. ბათუმი, ფარნავაზ მეფის ქ. N84/86
ტელ.	+995 422 27 50 23
ელ-ფოსტა	info@gobatumi.com
საკონტაქტო ინფორმაცია	ღია მმართველობის საბჭოს სამდივნო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საერთაშორისო ურთიერთობათა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი მალვინა ჯიბლაძე - 577032104 +995(0) 32 228 54 85 malvina.jibladze@sca.ge
ძირითადი მოთხოვნები	
საბჭო იწვევს დაინტერესებულ მხარეებს (რეგიონის აღმასრულებელ ორგანოებს, იურიდიულ და ფიზიკურ პირებს) წერილობითი ფორმით წარმოადგინონ დოკუმენტურად გამყარებული საკუთარი პოზიციები მოკვლევის საგანთან დაკავშირებით. წარმოდგენილი პოზიცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ პირობებს:	

- ფაილი არ უნდა აღემატებოდეს 25 MB-ს;
- ფაილი უნდა იყოს მხოლოდ WORD-ის ფორმატში;
- ტექსტის სიდიდე თითოეულ კითხვაზე უნდა შეადგენდეს არაუმეტეს 500 სიტყვას;
- ყველა ინფორმაცია უნდა იქნეს მოქცეული ერთ ფაილში, მათ შორის დანართები, დამატებითი ინფორმაცია, ფოტოები, მასალები და ა.შ.
- წერილობით დასაბუთებულ მოსაზრებაში კარგად უნდა ირკვეოდეს ავტორის/მომხსენებლის ვინაობა: (მოსაზრების შედგენის თარიღი, ავტორის/მომხსენებლის საკონტაქტო ინფორმაცია - ელ-ფოსტა, ტელ. ნომერი);
- დასაბუთებული მოსაზრების დასაწყისში საჭიროა მოკლე რეზიუმე წინამდებარე ტექსტის შესახებ;
- აუცილებელია ტექსტის დასაწყისში მოკლედ იყოს წარმოდგენილი პოტენციური მომხსენებლის შესახებ:
 - იურიდიული პირის შემთხვევაში - ორგანიზაციული ფორმა, ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი, საქმიანობის სფერო.
 - ფიზიკური პირის შემთხვევაში - სახელი, გვარი, პირადი ნომერი და საქმიანობის სფერო.
- არ არის აუცილებელი ჯგუფის მიერ დასმულ ყველა კითხვაზე პასუხის გაცემა. შეგიძლიათ პასუხი/პასუხები წარმოადგინოთ მხოლოდ იმ კითხვა/კითხვებზე, რომლებზეც დასაბუთებული მოსაზრებები გაგაჩნიათ. დასაბუთებული მოსაზრების გამოგზავნისას, აუცილებლად მიუთითეთ ის კითხვა, რომელსაც პასუხობს თქვენი მოსაზრება;
- ტექსტში მოცემული უნდა იყოს დეტალური ფაქტობრივი მონაცემები, რომელიც სამუშაო ჯგუფს მისცემს შესაძლებლობას გააკეთოს სწორი ანალიზი/დასკვნა.
- ტექსტში ასევე შესაძლოა იყოს ცალკეული რეკომენდაციები და შეხედულებები.

წარმოდგენილი პოზიცია უნდა პასუხობდეს შემდეგ შეკითხვებს:

1. რა მექანიზმები ან საშუალებები აქვს ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ორგანოებს (შემდგომში, ადმინისტრაციულ ორგანოებს) ინსტიტუციური ღიაობისთვის?

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი თავის საქმიანობას ახორციელებს ღიად და გამჭვირვალედ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ორგანიზაცია პროაქტიულად აქვეყნებს კანონმდებლობით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციას, ბიუჯეტს და პროგრამებს გეგმავს დაინტერესებულ პირებთან დისკუსიებისა და განხილვების საფუძველზე, ღია რეკომენდაციებისა და ინიციატივებისათვის, შექმნილი აქვს მიზნობრივი ელექტრონული პლატფორმები, სადაც უზრუნველყოფილია ინფორმაციისა და ელექტრონული ბაზების თანაბარი ხელმისაწვდომობა დაინტერესებული პირებისათვის.

ინსტიტუციური ღიაობისთვის ტურიზმის დეპარტამენტი ამოცანებისა და მიზნების შესრულების პროცესში, ზემოაღნიშნული კომუნიკაციის საშუალებების გარდა, იყენებს შემდეგ ონლაინ პლატფორმებს:

- Visitbatumi.com
- serviceajara.ge

- infoajara.com
- visitajara.com
- adjara.gov.ge

სოციალურ მედიას (Facebook, Instagram, Linked In):

<https://www.facebook.com/DepartmentofTourismandResortsofAjara>

<https://www.facebook.com/visitbatumi>

2. როგორია აღმასრულებელი ორგანოების გამჭვირვალობის ხარისხი შიდა და მესამე მხარეების შეფასებების მიხედვით (კვლევები, ინდექსები, შეფასების ანგარიშები, რეიტინგები თუ სხვა)?

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სოციალური მედია გვერდები, რეიტინგულია და გამომწერების რაოდენობით საქართველოში ოცეულშია. მაგალითად, მხოლოდ visitbatumi- ის Facebook გვერდს 229 000 გამომწერი ჰყავს. ტურიზმის დეპარტამენტს სოციალური გვერდების მეშვეობით ფართო აუდიტორიაზე აქვს წვდომა. დეპარტამენტი სოციალური მედია გვერდების მეშვეობით აქტიურად აზიარებს საჯაროდ ინფორმაციას, სიახლეებს და მიმდინარე პროექტებს.

ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა შეაფასოს დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია, გამოთქვას აზრი და დააფიქსიროს მისი განსხვავებული პოზიცია. დეპარტამენტის მიერ ხდება უკუკავშირის ანალიზი და მიღებული შეფასებების გამოყენება შემდგომი საქმიანობის პროცესში.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სოციალურ მედია პლათფორმებზე განთავსებულ ინფორმაციაზე მოქალაქეების მიერ გაკეთებული შეფასებების, კომენტარების 98% არის დადებითი.

3. რა შიდა პოლიტიკის თუ სტრატეგიული დოკუმენტები მოქმედებს აღმასრულებელ უწყებებში ღია მმართველობის, გამჭვირვალობის, მოქალაქეთა ჩართულობის საკითხებზე? რა კონკრეტულ გზებს ან საშუალებებს ითვალისწინებს ისინი ამ მიმართულებებით?

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი, როგორც პროგრამების დაგეგმვის, ისე მათი განხორციელების ეტაპზე ხშირად მართავს სამუშაო შეხვედრებს სფეროების მიხედვით, სადაც ხდება პროექტების განხილვა, სიახლეების სექტორისთვის გაზიარება და ინიციატივების მიღება.

ასევე პროგრამების და ღონისძიებების უმრავლესობა, რომლებსაც ტურიზმის დეპარტამენტი ახორციელებს, ღონისძიებების შინაარსიდან და სპეციფიკიდან გამომდინარე თავისთავად გულისხმობს ტურიზმის სექტორის ჩართულობას,

მაგალითად.

ა) სერვისების განვითარების პროექტები გულისხმობს ტურიზმის სხვასხვა სფეროს, კერძო სექტორის პროექტებში მონაწილეობას, უშუალოდ ტურიზმის სექტორის წარმომადგენლების ჩართულობას სატრენინგო პროგრამებში. ზემოაღნიშნული პროექტებისთვის ტურიზმის დეპარტამენტს შექმნილი აქვს ელექტრონული სატრენინგო პლატფორმა serviseajara.ge, რომელიც წარმოადგენს კერძო სექტორისთვის სამუშაო პრაქტიკულ ვებგვერდს. აღნიშნულ ვებგვერდზე განთავსებულია სატრენინგო პროგრამა და ტრენინგებზე რეგისტრაცია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია. ამავე ვებგვერდზე განთავსებულია ტურიზმის სექტორისთვის შექმნილი ვიდეოგაკვეთილები, სახელმძვანელოები და სხვა სასარგებლო ინფორმაცია.

ბ) ტურიზმის დეპარტამენტი ყოველწლიურად აწარმოებს მომსახურების ხარისხის კვლევას და რეგიონში ტურიზმის სფეროში საუკეთესო სერვისების მიმწოდებლების იდენტიფიცირებას. აღსანიშნავია, რომ წლის საუკეთესო სერვისების მიმწოდებლების გამოვლენას ახდენენ თავად ტურიზმის სექტორის წარმომადგენლები და შესაბამისი კვლევებში ჩართული არიან განთავსების ობიექტების, სააგენტოების, საოჯახო სასტუმრო სახლების წარმომადგენლები, რეგიონში მოქმედი გიდები და ა. შ.

გ) ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ახალი ტურისტული პროდუქტების თუ მარშრუტების გაცნობა პირველად ხდება აჭარის რეგიონის გიდებისა და სააგენტოებისთვის. კერძო სექტორისთვის იგეგმება პრაქტიკული გაცნობითი ტურები ლოკაციებზე, სადაც თითოეული მიმართულების ტურისტულ პროდუქტად ქცევის და პაკეტებად ჩამოყალიბების საკითხები აჭარის რეგიონის გიდებთან, საოჯახო სასტუმრო სახლებთან და ტურისტულ სააგენტოებთან ერთად განიხილება.

დ) აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის დაქვემდებარებაშია აჭარის რეგიონის ტურისტული საინფორმაციო ცენტრები. საინფორმაციო ცენტრები მუშაობს ყველა მუნიციპალიტეტში, სულ აჭარაში გვაქვს 9 საინფორმაციო ცენტრი. ტურისტულ საინფორმაციო ცენტრებში უზრუნველყოფილია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა ყველა დაინტერესებული პირისათვის.

4. როგორია ადმინისტრაციული ორგანოების ვებგვერდების მდგომარეობა - რამდენად ითვალისწინებს ისინი ღია მმართველობის საკითხებს? არის თუ არა ვებგვერდებზე ჩართულობის ონლაინ მექანიზმები და როგორია ისინი?

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტს ვებგვერდები საჭიროების, პრიორიტეტების და სპეციფიკის მიხედვით აქვს დაჯგუფებული. ყველა ვებგვერდი არის ინტერაქტიული და ყველა მათგანზე უზრუნველყოფილია ინფორმაციაზე თანაბარი წვდომის შესაძლებლობა.

1. ვებგვერდი- gobatumi.com (იგივე visitbatumi.com)- წარმოადგენს რეგიონის ტურისტული პოტენციალის საპოპულარიზაციო, რეგიონის მთავარ ტურისტულ პორტალს, როგორც შიდა, ასევე საერთაშორისო ვიზიტორებისათვის. ღია

მმართველობის მხრივ საიტზე იძებნება, როგორც დეპარტამენტის საკონტაქტო ინფორმაცია (იხ. <https://gobatumi.com/ka/kontaqti>), ასევე, ტურისტული საინფორმაციო ცენტრების საკონტაქტო ინფორმაცია.

2. ვებგვერდი - serviceajara.ge განკუთვნილია ტურისტულ სექტორში მომსახურების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის, ხარისხის სტანდარტების შესახებ ცნობადობის ზრდის, სექტორში ცნობიერების ამაღლების მიმართულებით დეპარტამენტის მიერ განხორციელებული და განსახორციელებელი ღონისძიებებზე წვდომისთვის, შესაბამისად, აღნიშნულ ვებგვერდს, გარდა საკონტაქტო ინფორმაციისა (<http://serviceajara.ge/Contact/>) ვებგვერდის (<http://serviceajara.ge/>) ქვედა მარჯვენა კუთხეში აქვს სიახლეების გამოწერის ფუნქცია, რომლის საშუალებითაც დაინტერესებულ მხარეებს შესაძლებლობა აქვთ ქონდეთ წვდომა სერვის განვითარების მიმართულებით დეპარტამენტის მიერ დაგეგმილ ნებისმიერ აქტივობაზე, ასევე ვებგვერდზე რეგისტრაციისა და ავტორიზაციის გავლის შემთხვევაში დაინტერესებულ პირებს ეძლევათ შესაძლებლობა დარეგისტრირდნენ კონკრეტულ ტრენინგზე თუ მასტერკლასზე.

3. ვებგვერდი-infoajara.com - წარმოადგენს აჭარის რეგიონის მთავარ საინფორმაციო და საკონტაქტო ბაზას, რომელიც სამ ენაზეა ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ტურისტული საინფორმაციო ცენტრები პასუხისმგებლები არიან და ახდენენ რეგიონის ტურისტული ობიექტების და ტურისტული სერვისების მიმწოდებლების აღწერას და შესაბამისი ბაზების წარმოებას. აღნიშნული ბაზები ელექტრონულ ფორმატში ხელმისაწვდამია კერძო სექტორისთვის და მუდმივ რეჟიმში ხდება ბაზების განახლება. ეს ვებგვერდი შექმნილია უშუალოდ აჭარის რეგიონის ტურიზმის სექტორისთვის. ამავე ვებგვერდის მეშვეობით ელექტრონულად ხდება კერძო სექტორის წარმომადგენლების მხრიდან გაცნობით ტურებზე რეგისტრაცია.

4. ვებგვერდი -visitajara.com- შექმნილია აჭარის რეგიონის მთიანი მუნიციპალიტეტების და ტურისტული პროდუქტების პოპულარიზაციის მიზნით. აღნიშნული ვებგვერდი წარმოადგენს პრაქტიკულ გაიდს და სახელმძღვანელოს აჭარის მთებში მოგზაურობისთვის. ვებგვერდზე განთავსებულია ტურისტული მარშრუტების ელექტრონული რუკები, GPX ფაილები, კონკრეტულ მარშრუტებზე მოგზაურობის ინსტრუქციები, საოჯახო სასტუმრო სახლები და ა. შ.

5. ვებგვერდი- adjara.gov.ge- აღნიშნული ვებგვერდი წარმოადგენს აჭარის მთავრობის ერთიან პორტალს, სადაც ქვეყნდება ტურიზმის სფეროში მიმდინარე და დაკავშირებული სიახლეები.

5. როგორია საზოგადოების ჩართულობის ხარისხი? რამდენად იყენებს საზოგადოება ონლაინ პლატფორმებს ორგანოებთან ურთიერთობისთვის, რა პლატფორმებია ამისთვის (ვებგვერდი, სპეციალური გვერდები, აპლიკაციები, ა.შ.)

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ვებგვერდებს (visitbatumi.com, serviceajara.ge, visitajara.com, infoajara.com) აქტიურად იყენებს საზოგადოება, რადგან

ვებგვერდები სამიზნე ჯგუფებს საჭიროებების მიხედვით თემატურად სთავაზობს ინფორმაციას და ამვდროულად ვებგვერდებზე უზრუნველყოფილია პროექტებში ჩართულობის რეგისტრაციის ველები.

6. როგორია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების გამოცდილება?

a. რა ინფორმაცია ქვეყნდება ვებგვერდებზე და რა პერიოდულობით ხდება მისი განახლება.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ვებგვერდებზე visitajara.com, infoajara.com ინფორმაციის განახლება ხდება მუდმივად, ყოველდღიურ რეჟიმში, რადგან ეს პლათფორმები წარმოადგენს საინფორმაციო ბაზებს რეგიონის ტურიზმის სექტორისთვის.

Serviceajara.ge- ზე ინფორმაციის განახლება ხდება ეტაპობრივად, საჭიროებისამებრ (თვეში რამოდენიმეჯერ)

რაც შეეხება ვებგვერდს gobatumi.com (იგივე visitbatumi.com) ამ ეტაპზე მიმდინარეობს ვებგვერდის პროგრამული გაუმჯობესება, განახლება და ადაპტირება თანამედროვე ელექტრონულ პლათფორმებთან. განახლების პროცესი დასრულებულია 2023 წლის აპრილში. აღნიშნული ვებგვერდზე ინფორმაციის განახლება ხდება პერიოდულად, საჭიროებისამებრ.

ასევე, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ვებპორტალზე gobatumi.com „დეპარტამენტის შესახებ“ გვერდზე განთავსებულია ბმული, რომლიდანაც შესაძლებელია გადასვლა მთავრობის ერთიან პორტალზე, აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტისთვის განკუთვნილ გვერდზე (<https://gobatumi.com/ka/about-the-department>), სადაც პერიოდულად ახლდება პროაქტიული წესით გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია, (<http://adjara.gov.ge/branches/publicinfo.aspx?pid=210&gid=7>) როგორცაა:

1. სამსახურის სტრუქტურა და ფუნქციების აღწერა;
2. სამსახურის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები;
3. სამსახურის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიში;
4. სამსახურის მიერ შემუშავებული სტრატეგიები, კონცეფციები და სამოქმედო გეგმები;
5. სამსახურის ხელმძღვანელისა და მოადგილეების შესახებ ინფორმაცია;
6. საკონტაქტო ინფორმაცია.

b. ინფორმაციის რა ნაწილია წაკითხვად ფორმატში (machine-readable¹)?

¹აუთომატურად წაკითხვადი მონაცემების ფორმატები (machine-readable data) - ინფორმაცია, რომელიც შეიძლება ავტომატურად იკითხოვოდეს მანქანის მიერ.

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია სრულად წაკითხვადია.

- c. რამდენად ჩაშლილია ინფორმაცია (მაგალითად, გენდერულ, ასაკობრივ თუ სხვა თვალსაზრისით)?

ინფორმაცია, დაჯგუფებულია მსგავსი თემატიკისა და შინაარსის მიხედვით.

7. როგორია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა აღმასრულებელ ორგანოებში?

- a. გამოთხოვილი ინფორმაციის სტატისტიკა - მოქალაქეების და იურიდიული პირების მიხედვით გამიჯნულია

ყოველი წლის ბოლოს აღნიშნული პრინციპით დაჯგუფება ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის ვალდებულებებიდან გამომდინარე.

- b. ინფორმაციის გამოთხოვაზე პასუხების სტატისტიკა - მოქალაქეების და იურიდიული პირების მიხედვით გამიჯნული, პასუხის მიწოდების ვადების მითითებით

ყოველი წლის ბოლოს სტატისტიკის დამუშავება ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის ვალდებულებებიდან გამომდინარე. მაგალითისთვის გასულ წელს მოთხოვნის შესაბამისად საჯარო ინფორმაცია სრულად გაიცა 13 შემთხვევაში.

- c. განმარტება და დასაბუთება ინფორმაციის გაცემაზე უარის შემთხვევებზე.

ინფორმაცია, რომელიც არის საჯარო და მისი ხელმისაწვდომობა გარანტირებულია კანონით მისი გაცემის დაბრკოლება არ ხდება, შესაბამისად მსგავსი სახის ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევა არ გქონია (გარდა ისეთი ინფორმაციისა, რომელის დაცულობაც ასევე გარანტირებულია კანონით მაგ: პერსონალური ინფორმაცია, კომერციული საიდუმლოება და ა.შ).

7. როგორ არის უზრუნველყოფილი საზოგადოების ჩართულობა აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში?

- a. ჩართულობის კონკრეტული მაგალითები

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საქმიანობაში ტურიზმის სექტორის ჩართულობა არის მაღალი. კერძოდ:

1. ტურიზმის დეპარტამენტი პროგრამებს და ღონისძიებებს გეგმვას ტურიზმის სექტორის საჭიროებებზე დაყრდნობით, რისთვისაც მართავს პრეზენტაციებს და შეხვედრებს, სადაც დაინტერესებულ მხარეებს აცნობს მომდევნო წლის ბიუჯეტს და პრიორიტეტებს. მაგ. 2023 წლის ბიუჯეტის და პროგრამების პროექტის განხილვა გაიმართა 2022 წლის სექტემბერში, შეხვედრას ესწრებოდა ტურიზმის სხვასხვა სფეროს წარმომადგენელი, რეგიონში მოქმედი ასოციაციები და არასამთავრობო ორგანიზაციები.

http://www.adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=1183437&gid=7#.Y_pkNnZBzIV

2. აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის საქმიანობაში საზოგადოებისა და ტურიზმის სექტორის ჩართულობის უზრუნველსაყოფად პერიოდულად იმართება თემატური შეხვედრები, იხილეთ მაგალითები:

<https://www.facebook.com/DepartmentofTourismandResortsofAjara/posts/pfbid031fSFaVqyhHhYUm7izVQ72AoskPyS2Xovm8Y2RxWzoQZurthtr1kHiZkcVMZzTKnsl>

<https://www.facebook.com/100064383624489/posts/pfbid02sXKZiN8GMRfMJMXTKcunY1o3F6xLMdDHFryRebvBUrmwBckZH2jJE2fCCAgpZNwkl/?mibextid=q5o4bk>

<https://www.facebook.com/DepartmentofTourismandResortsofAjara/posts/pfbid02j7Ukj3j1KqHtDvSj5TGNb9bhsSZjspxf5PKioEfYysQNCZkLUcgYDxsH7vN3DsMI>

3.წლის ბოლოს აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი წარუდგენს ტურიზმის სექტორს და სხვასხვა უწყებას წლის საქმიანობის ანგარიშს. ყოველი წლის ბოლოს იმართება ღონისძიება „მაგნოლია“, სადაც ხდება აჭარაში ტურიზმის განვითარება-პოპულარიზაციაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის ტურიზმის სფეროს წარმომადგენლების გამოვლენა, აღნიშნული ღონისძიება იძლევა შესაძლებლობას დეპარტამენტმა მიიღოს უკუკავშირი ტურიზმის სფეროს წარმომადგენლებისგან და გაითვალისწინოს მათი საჭიროებები.

<https://www.facebook.com/100064383624489/posts/pfbid02zBbZFxz2ACGA5npv7S9WdjdZhbha9aGA8zvttdXoTuJzsvDu1LkTK3Z234U39gWl/?mibextid=q5o4bk>

b. საჯარო შეხვედრების, განხილვების, დისკუსიების ან სხვა ღონისძიებების სტატისტიკა - მათზე დამსწრე პირების მითითებით, სადაც გამიჯნულია დამსწრე/მონაწილე საჯარო დაწესებულების, საზოგადოებრივი

ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და მოქალაქეების რაოდენობის შესახებ ინფორმაციები.

ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი წლის განმავლობაში მართავს არანაკლებ 50 საჯარო შეხვედრასა და განხილვას. საჯარო შეხვედრებსა და განხილვებს ესწრება ადამიანთა სხვასხვა რაოდენობა. თემატურ- სეგმენტურ შეხვედრებს ესწრება 10 -35 ადამიანი, პრეზენტაციებს და ანგარიშებს 50-100 ადამიანი. ყველაზე დიდი რაოდენობა, 400 ადამიანი ესწრება წლის ანგარიშს და შეჯამებას, რომელიც ყოველი წლის დეკემბერში იმართება.

- c. ამ ჩართულობის მაგალითებს რა ცვლილებები მოჰყვა კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისთვის (რა შეიცვალა უწყების საქმიანობაში, შესაბამის დოკუმენტში ან სხვა საქმიანობაში, რისთვისაც გამოიზნული იყო ჩართულობა)?

აჭარის ტურიზმის და კურორტების დეპარტამენტის ყოველი წლის ბიუჯეტი იგეგმება ტურიზმის სექტორთან აქტიური კომუნიკაციის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით.

მაგალითად, 2022 წელს შუახვევისა და ქედის მოსახლეობის მიერ გვეთხოვა ჩირუხის მთაზე, ქედის იალებზე მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც აისახა ბიუჯეტში, დაიწყო მშენებლობა და წელს უკვე ოფიციალურად გაიხსნება და მიიღებს ვიზიტორებს. ღორჯომის თემში სატრენინგო პროექტების დროს, მოსახლეობისგან იყო მომართვა ღორჯომში საცხენოსნო ტურიზმის განვითარების მიზნით პროგრამების დაგეგმვის თაობაზე. ჩატარდა შესაბამისი კვლევები, მომზადდა საპროექტო დოკუმენტაცია და 2023 წელს უკვე დაიწყება ღორჯომში საცხენოსნო ინფრასტრუქტურის მშენებლობა. 2022 წლის ბოლოს გიდებთან შეხვედრაზე გიდების ერთი ჯგუფის მხრიდან მოთხოვნილ იქნა ტურიზმის დეპარტამენტის ტრენინგებში ასახული ყოფილიყო არანაკლებ 20 ახალი თურქულენოვანი გიდის მომზადება, რაც გათვალისწინებულ იქნა. ამ კონკრეტული ინიციატივის გადაწყვეტის მიზნით, კომპეტენციის შესაბამისად შერჩეული პირების მონაწილეობით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, შემუშავდა საბიუჯეტო პროგრამა, აისახა ბიუჯეტში და უკვე გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი.

- d. აწარმოა თუ არა ორგანომ უკუკავშირი რაიმე ფორმით? მათ შორის, დაასაბუთა თუ არა ცვლილებები ან ცვლილებების შეტანაზე უარი?

საზოგადოების ჩართულობისა და მათი ინიციატივის შესაბამისად უკუკავშირის ნათელია მაგალითია ჩირუხის მთის განვითარების პროექტი, ჭვანის ხეობაში ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი, ჯვარიმინდორის თავშესაფრები, დანდალოს ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკი, ნაკონაღვარის საპიკნიკე, ქობულეთისა და ბათუმის გიდების სახელმძღვანელო და სხვა.

9. ბიუჯეტის პროექტის, პრიორიტეტებისა და პროგრამების განხილვის პროცესში როგორია საზოგადოების მონაწილეობის ხარისხი?

a. რამდენი საჯარო შეხვედრა ჩატარებულა?

ბიუჯეტის პროექტის, პრიორიტეტებისა და პროგრამების განხილვის მიზნით ტარდება წლის განმავლობაში 10 -ზე მეტი შეხვედრა.

b. როგორია დასწრების სტატისტიკა, რამდენი იურიდიული პირის წარმომადგენელი (მათ შორის, გამიჯნულად საჯარო უწყებები და საზოგადოებრივი ორგანიზაციები) და ფიზიკური პირი ესწრებოდა?

ბიუჯეტის და პროგრამების განხილვებს ესწრება დაახლოებით 35-45 ადამიანი, მათგან 10% საჯარო უწყებები, 10% არასამთავრობო ორგანიზაციები, 10 % ასოციაციები, 5 % მედიის წარმომადგენლები, 65% ტურიზმის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი.

c. ბიუჯეტის განხილვაში საზოგადოების მონაწილეობის სხვა რა მექანიზმები გამოიყენება?

ბიუჯეტის განხილვაში საზოგადოების მონაწილეობის მიზნით, ხდება ბიუჯეტის პროექტის, მისი შემადგენელი ნაწილების პროგრამების და ქვეპროგრამების გასაჯაროვება, აღნიშნული პროცესი ხელს უწყობს დაინტერესებული პირების ჩართულობას, გამოხატონ პოზიცია ან/და დააფიქსირონ განსხვავებული აზრი.

d. როგორია ამ განხილვების შედეგები? რა ინიციატივები გაჟღერდა და რა ცვლილებები მოჰყვა ამ განხილვებს?

განხილვის დროს დაინტერესებული პირების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და ინიციატივები, ცალკეულ შემთხვევაში ხდება ცვლილებების დაგეგმვისა და განხორციელების საფუძველი, ნებისმიერი პროექტის დაგეგმვის დროს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ ადგილობრივი თავისებურებების და საჭიროებების გათვალისწინებას, ადგილობრივი მცხოვრებლების ინტერესების დაცვას. აღნიშნულის მაგალითები უკვე მოვიყვანეთ (ჩირუხის მთის განვითარების პროექტი, ჭვანის ხეობაში ინფრასტრუქტურის მოწყობის პროექტი, ჯვარიმინდორის თავშესაფრები, დანდალოს ჩანჩქერთან მისასვლელი ბილიკი, ნაკონაღვარის საპიკნიკე და სხვა).

e. აწარმოა თუ არა ორგანომ უკუკავშირი რაიმე ფორმით? მათ შორის, დაასაბუთა თუ არა ცვლილებები ან ცვლილებების შეტანაზე უარი?

დეპარტამენტის მიერ ხდება, განხილვების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზი, დამუშავება, საჭიროების შემთხვევაში ასევე ვაწარმოებთ დაინტერესებულ პირებთან კომუნიკაციას, რა დროსაც ხდება ცვლილებების საჭიროების გაზიარება ან/და მასზე უარის თქმა.

10. თქვენი აზრით, ბიუჯეტის პრიორიტეტების, პროექტისა და პროგრამების შემუშავების პროცესში ჩართულობისთვის, რამდენად გასაგებად და ადეკვატად ხელმისაწვდომი ფორმით მიეწოდება ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს და ხელს უწყობს თუ არა ინფორმაციის მიწოდების მეთოდები საზოგადოების მონაწილეობას?

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი პრიორიტეტების, პროექტისა და პროგრამების შემუშავების პროცესში საზოგადოების ჩართულობის სხვადასხვა მეთოდებს იყენებს. ესენია პერიოდული შეხვედრები საზოგადოებასთან, დისკუსიები, პრეზენტაციები და ანგარიშები.

11. ანგარიშვალდებულების რა ფორმებს იყენებენ აღმასრულებელი ორგანოები?

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი სამ თვეში ერთხელ ასევე მოთხოვნის შესაბამისად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განსახილველად წარუდგენს ტურიზმისა და კურორტების განვითარების სფეროში არსებული ვითარებისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ, ანგარიშს (ინფორმაცია) განხორციელებული საქმიანობის შესახებ;

გაწეული საქმიანობის შედეგების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება ვებ.გვერდზე, სოც.გვერდებზე, ხდება მოსახლეობასთან, დაინტერესებულ პირებთან საინფორმაციო ხასიათის შეხვედრები და მათთვის გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის ჩაბარება.

12. როგორ შეუძლიათ აღმასრულებელ ორგანოებს გაუმჯობესონ ანგარიშვალდებულება საზოგადოების მიმართ, რა კონკრეტული მეთოდებით?

გაზიარებული გვაქვს, რომ საჯარო მმართველობა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება ეფექტური, თუ საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელ ორგანოს აქვს მოქალაქეთა ნდობა.

გაცნობიერებული გვაქვს, დეპარტამენტის როლი აღმასრულებელი ორგანოების/სახელმწიფო უწყებების მიმართ მოქალაქეთა ნდობის ჩამოყალიბების პროცესში.

აღსანიშნავია, რომ მოქალაქეთა მიდგომა და მოლოდინი საჯარო მმართველობასთან მიმართებით მუდმივად იცვლება. ამ თვალსაზრისით, ქვეყნის სტანდარტების დანერგვისა და სტანდარტებთან შესაბამისობის ეფექტური მექანიზმები მნიშვნელოვანია საჯარო მმართველობისადმი ნდობის განახლების მიმართულებით.

ანგარიშვალდებულები და გამჭვირვალე ინსტიტუციების ჩამოყალიბება მმართველობის ყველა დონეზე, სამართლიანი და ინკლუზიური საზოგადოებების ძირითადი კომპონენტებია. პროცესი არ არის სტატიკური და ანგარიშვალდებულების მიმართ შერჩეული, ცალკეული მეთოდები განახლებას მუდმივად საჭიროებს.

<p>13. თქვენი მოსაზრებით, რა უნდა გააკეთოს აღმასრულებელმა ორგანოებმა იმისთვის, რომ გაიზარდოს სამოქალაქო ჩართულობა მათ საქმიანობაში? რა უნდა გააკეთოს სხვა პირებმა ამისთვის?</p> <p>მოქალაქეთა მონაწილეობა ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა კარგი მმართველობის განსახორციელებლად, რაც ხელს უწყობს მოქალაქეთათვის ისეთი პირობების შექმნას, რომ მათ შეაფასონ აღმასრულებელი ორგანოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მართზომიერება, მიიღონ ეფექტური სახელმწიფო სერვისები. მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, მეტად გაიზარდოს საზოგადოებასთან კომუნიკაციის ხარისხი.</p>	
<p>დამატებითი კომენტარი:</p>	
<p>ინფორმაციის გაცემის თარიღი:</p>	<p>27 თებერვალი, 2023 წ</p>